ელ. ფასთა კოტირება სალომბარდე, ზიპ ჩამკეტიანი პარკების შესყიდვაზე.

სს "თიბისი ბანკი" აცხადებს ელ. ფასთა კოტირებას სალომბარდე, ზიპ ჩამკეტიანი პარკების შესყიდვაზე. დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის - www.tenders.ge საშუალებით. ელ. ფასთა კოტირება ჩატარდება ე.წ. 1 კონვერტის პრინციპით.

შესყიდვის ობიექტი:

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სალომბარდე, ზიპიანი პარკები, ოთხი განსხვავებული ზომით და შესაბამისი რაოდენობით (იხ დანართი N2). შესაძლებელია რაოდენობის ცლილება ± 10% -ით.

პროდუქციის შესყიდვა განხორციელდება საუკეთესო ფასის წარმომდგენი კომპანიისგან და გაფორმდება 1 წლიანი ჩარჩო მოწოდების ხელშეკრულება. პროდუქციის მოწოდება განხორციელდება საორიენტაციოდ ორ ეტაპად (პირველი ეტაპი 2025 წლის დეკემბრის თვეში და მეორე ეტაპი 2026 წლის მაისის თვეში).

მონაწილეობის პირობები

მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია:

- **დანართი N1** - კომპანიის რეკვიზიტები;
- **დანართი N2** - ფასების ცხრილი (სრულად შევსებული); ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, დღგ-ს ჩათვლით;
- **დანართი N3** - აფიდავიტი;
- **დანართი N4** – KYP (Know Your Partner)

საქონლის ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებულ საკითხებზე დაუკავშირდით:
ანა ცქრიალაძე - 577 27 27 83; AnTskrialadze@Tbcbank.ge

ელ. ფასთა კოტირების მსვლელობასთან და პროცესთან დაკავშირებულ კითხვებზე დაუკავშირდით:
ნინი აბაიშვილი - 571 90 90 70; Nabaishvili@Tbcbank.ge

შემოთავაზებების მიღების ბოლო ვადა და ვაჭრობის დაწყების დრო:
14.11.2025, 12:00 -15:00 საათი;

- **საუკეთესო ფასის მქონე კომპანიას მოეთხოვება ნიმუშის წარდგენა, რომელიც შეფასდება და დადასტურების შემთხვევაში გაფორმდება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება;**
- **ნიმუშის წარდგენის თარიღი 17.11.2025; 10:00 - 19:00 საათამდე.**

- ელ. ფასთა კოტირებაში გამარჯვების კრიტერიუმია - ღირებულება;
- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;
- ელ. ფასთა კოტირების შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;
- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი განახორციელებს ვაჭრობას, ვალდებულია წარადგინოს ფასკლების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის მიხედვით დაკორექტირებული დანართი N2;
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს ელ. ფასთა კოტირების შესაბამის ტექნიკურ მოთხოვნებს.
- მიუხედავად ელ. ვაჭრობის შედეგისა მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი წინადადების ვადა უნდა შენარჩუნდეს მინ. 30 კალ. დღე.
- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე **Procurement@Tbcbank.com.ge.**
- გამარჯვებული ვალდებულია თანამშრომლობისათვის წარადგინოს თიბისი ბანკის საბანკო რეკვიზიტები.
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ელ. ფასთა კოტირება, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე ბანკი იტოვებს უფლებას ელ. ფასთა კოტირება სცნოს ანულირებულად თუ ელ. ფასთა კოტირებში მონაწილეობას მიიღებას მხოლოდ ერთი კომპანია.
- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.